საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N120233987

რეგისტრაციის თარიღი

13.03.2012 წ

ნოტარიუსი: ვოლმარა მელაძე
მისამართი: ქ. თბილისი, ლესელიძის ქ. # 4
ტელეფონი: 0322989578

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორიათას თორმეტი წლის ცამეტ მარტს, მე, ნოტარიუსს ვოლმარა მელაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ლესელიძის ქ. 4, მომმართა **ციალა ინდუაშვილმა**, რომელმაც განაცხადა, რომ იგი წარმოადგენს **შპს „იმენი გრუპი"-ს** (ს/კ404411515) **დირექტორის ნაბილ ფეთჰი ჰაბიბ საროუფიმის (ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პასპორტი №A01194983) მინდობილ პირს** (თანახმად მინდობილობისა, დადასტურებული ნოტარიუსი ვოლმარა მელაძის მიერ, რეგისტრაციის № 111422769, რეგისტრაციის თარიღი 29.12.2011წ) და სურს სანოტარო აქტის (მინდობილობის) შედგენა **ლანა ქარდავას** მიმართ და მისი სანოტარო წესით დადასტურება.
მე შევამოწმე მინდობილობის გამცემი პირის პირადობა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ციალა ინდუაშვილმა** (დაბ. 11.10.1988წ რუსთავში, პ/მ№ ბ 0884248 პ№35001096180, გაცემული 06.03.2006წ, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს რუსთავის სამსახურის მიერ, რეგისტრირებული მისამართზე: რუსთავი, დუმბაძის ქ. კორ. 36, ბ. 12 სს) მომმართა.

მე დავადგინე **ციალა ინდუაშვილის ქმედუნარიანობა და უფლებამოსილება** და დავრწმუნდი, რომ მის **ქმედუნარიანობაში და უფლებამოსილებაში** ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. ასევე შევამოწმე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა და შევადგინე წინამდებარე მინდობილობის ტექსტი, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მას. მან განაცხადა, რომ ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას, რასაც ვადასტურებ.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას თორმეტი წლის ცამეტ მარტს, **ციალა ინდუაშვილი, როგორც ნაბილ ფეთჰი ჰაბიბ საროუფიმის „მინდობილი პირი"**, წინამდებარე მინდობილობით **ლანა ქარდავას** (დაბ. 01.01.1988წ წალენჯიხაში, პ/მ№ ა 1320345, პ№51001014271, გაცემული 10.09.2010წ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს წალენჯიხის სამსახურის მიერ, რეგისტრირებული მისამართზე: წალენჯიხა, ჯვარი 26 მაისის ქ №26), შემდგომში წოდებული "მინდობილი პირი" ანიჭებს შემდეგ უფლებამოსილებას:

1. **ლანა ქარდავა** უფლებამოსილია იყოს შპს „იმენი გრუპი"-ს დირექტორის **ნაბილ ფეთჰი ჰაბიბ საროუფიმის** წარმომადგენელი ნებისმიერ ორგანიზაცია-დაწესებულებებში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, ნებისმიერ სადაზღვევო კომპანიაში, ნებისმიერ ბანკში და უფლებამოსილია მართოს და განკარგოს **საზოგადოების** ანგარიშები/ანაბრები შეუზღუდავად: აწარმოოს შემოსავლის, გასავლის, გადარიცხვის და სხვა საბანკო ოპერაციები, გამოიტანოს თანხა, მიიღოს ამონაწერები ანგარიშებიდან, განახორციელოს მასზე კანონით ნებადართული ყველა მოქმედება. გახსნას **საზოგადოების** სახელით ახალი ანგარიშები/ანაბრები მართვისა და განკარგვის უფლებით ან დახუროს ისინი. შპს „იმენი გრუპი"-ს **დირექტორის სახელით დადოს ხელშეკრულებები და კონტრაქტები, რომლებიც წესდების მიხედვით არ საჭიროებენ პარტნიორების წინასწარ თანხმობას.** ხელი მოაწეროს მათ, წარადგინოს რეგისტრაციისთვის ნებისმიერ ორგანიზაცია-დაწესებულებებში, შესრულოს ამ დავალებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო მოქმედება. აღნიშნული დავალებების შესასრულებლად ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტაციას.

2. **ლანა ქარდავა** უფლებამოსილია წარმოადგინოს შპს „იმენი გრუპი"-ს დირექტორის ნაბილ ფეთჰი ჰაბიბ **საროუფიმის** ინტერესები საქართველოს შემოსავლების სამსახურში (საგადასახადო ინსპექციაში), იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სამეწარმეო რეესტრში. მიმნდობი პირის სახელით მიიღოს და წარადგინოს ნებისმიერი სახისა და შინაარსის დოკუმენტები, მათ შორის, დეკლარაციები, ცნობები, შედარების აქტი, ანგარიშფაქტურები, ნებისმიერი სახის ინფორმაცია. ხელი მოაწეროს ყველა საჭირო საბუთს, რაც დაკავშირებულია ამ დავალების შესრულებასთან დაკავშირებით.

3. **ლანა ქარდავა** უფლებამოსილია ნებისმიერ ტერმინალში მიიღოს ან/და გააზავნოს შპს „იმენი გრუპი"-ს სახელზე ჩამოსული ნებისმიერი სახის ტვირთი, აწარმოოს საბაჟო და სატერმინალო ოპერაციები, იყოს შპს „იმენი გრუპი"-ის დირექტორის **ნაბილ ფეთჰი ჰაბიბ საროუფიმის** წარმომადგენელი ყველა კომპეტენტურ ორგანოში, სახელმწიფო სტრუქტურებთან, საბაჟოზე, შსს მომსახურების სააგენტოში, საპატრულო პოლიციაში, საგადასახადო ინსპექციაში, გადაიხადოს ყველა საჭირო გადასახადი, ხელი მოაწეროს შპს „იმენი გრუპი"-ს დირექტორის **ნაბილ ფეთჰი ჰაბიბ საროუფიმის** ნაცვლად საბუთებზე და დოკუმენტებზე, მოახდინოს აღნიშნული ტვირთის ტრანსპორტირება დანიშნულების ადგილამდე და შეასრულოს ყველა მოქმედება და ფორმალობა ამ დავალების შესასრულებლად.

4. **ლანა ქარდავა** უფლებამოსილია შეასრულოს შპს „ იმენი გრუპი"-ს დირექტორის ნაბილ ფეთჰი ჰაბიბ საროუფიმის სახელით ყველა ის მოქმედება, რაც გათვალისწინებულია საზოგადოების წესდებით.

. არავინ არ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს მინდობილი პირის უფლებამოსილებანი, იმის გამო, რომ წინამდებარე მინდობილობაში მინდობილი პირის უფლებები ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი. მინდობილი პირი უფლებამოსილია შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ მინდობილობაში, მაგრამ აუცილებელია შპს „იმენი გრუპი"-ს უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

მინდობილობა შედგენილია **ქართულ** ენაზე 5 (ხუთ) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუსი ვოლმარა მელაძის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობ პირს.
მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება ნოტარიუსი ვ. მელაძის სანოტარო არქივში, თან ერთვის 3 (სამი) დოკუმენტი:
1.ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, ს/კ№404411515 (იხ.არქივში, თანდართული მინდობილობაზე, რეგისტრაციის №111422769)
2. შპს „იმენი გრუპი"-ს წესდება (იხ.არქივში, თანდართული მინდობილობაზე, რეგისტრაციის №111422769)
3. მინდობილობა, დადასტურებული ნოტარიუსი ვ.მელაძის მიერ, რეგისტრაციის №111422769,29.12.2011წ (ასლი).

მინდობილობა ძალაშია 2012 წლის 29 (ოცდაცხრა) დეკემბრის ჩათვლით.

ციალა ინდუაშვილი ციალა ინდუაშვილი

გადახდილია საზღაური სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის მიღებული №507-ე დადგენილების 31.7-ე მუხლის თანახმად 10 (ათი) ლარი და ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციისათვის 39.1-ის თანახმად 2 (ორი) ლარი. სულ გადახდილია 12 (თორმეტი) ლარი.

ნოტარიუსი ვოლმარა მელაძე